აკადემოსი
AKADEMOS

ქ. თბილისი 30 დეკემბერი 2021წ.

ბრძანება N2-116-21

შპს „აკადემოსის" მოსწავლის სტატუსის შეჩერებისა და აღდგენის, ფინანსური დავალიანების მქონე მოსწავლის სტატუსის შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ

შპს „აკადემოსის დებულების მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს შპს „აკადემოსის" მოსწავლის სტატუსის შეჩერებისა და აღდგენის, ფინანსური დავალიანების მქონე მოსწავლის სტატუსის შეწყვეტის წესი დანართის შესაბამისად.
2. დაევალოს სკოლის საქმისმწარმოებელს ამ ბრძანების შესრულების მიზნით შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.
3. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე;
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64).

შპს „აკადემოსის"
დირექტორი /თამარ ჩანტლაძე/

AKADEMOS LTD * 405218235 * თბილისი, საქ.

დამტკიცებულია
შპს „აკადემოსის"
დირექტორის მიერ 2021 წლის 30 დეკემბრის N 2-116-21 ბრძანებით

შპს „აკადემოსის"
მოსწავლის სტატუსის შეჩერებისა და აღდგენის, ფინანსური დავალიანების მქონე მოსწავლის სტატუსის შეწყვეტის წესი

მუხლი 1. მოქმედების სფერო

1. ეს წესი არეგულირებს შპს ,,აკადემოსში'' მოსწავლის სტატუსის შეჩერების და სტატუსის აღდგენის პროცედურებს, ასევე ფინანსური დავალიანების მქონე მოსწავლისათვის სტატუსის შეყვეტის პროცედურებს.

მუხლი 2. მოსწავლის სტატუსის შეჩერება და განსახორციელებელი ღონისძიებები

1. სკოლა ვალდებულია დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეს შეუჩეროს მოსწავლის სტატუსი იმ შემთხვევაში, თუ:

   ა) მოსწავლე 45 სასწავლო დღის განმავლობაში ზედიზედ არ ცხადდება სკოლაში/არ მონაწილეობს დისტანციური სწავლების სრულად ელექტრონული მოდელის გამოყენებით ჩატარებულ გაკვეთილებში და არ იღებს შეფასებას;

   ბ) მოსწავლე მიემგზავრება/გაემგზავრა საზღვარგარეთ და მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი წერილობით მიმართავს სკოლას;

   გ) სკოლაში 12 წლის სწავლის შემდეგ მოსწავლემ ვერ დაძლია ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი მიღწევის დონე და სტანდარტული ვაუჩერის შესაბამის თანხას არ შეიტანს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების შესაბამის სახაზინო ანგარიშზე;

   დ) არასრულწლოვანი მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი/სრულწლოვანი მოსწავლე სკოლას მიმართავს სტატუსის შეჩერების შესახებ განცხადებით. არასრულწლოვანი მოსწავლის სტატუსის შეჩერების გადაწყვეტილების მიღებამდე სკოლა ვალდებულია მოიკვლიოს და საჭიროების შემთხვევაში, ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის სოციალურ მუშაკთან (ასეთის არსებობის შემთხვევაში) რეფერირების გზით, დაადგინოს მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მოთხოვნის მიზეზები. ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის სოციალური მუშაკი ვალდებულია, თავის მხრივ, მოიკვლიოს და საჭიროების შემთხვევაში, განახორციელოს რეფერირება შესაბამის ორგანოში. ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის სოციალურ მუშაკის არ არსებობის შემთხვევაში დამრიგებელმა უნდა უზრუნველყოს მითითებული ღონისძიებების შესრულება.

   2. ამ მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით მოსწავლისთვის სტატუსის შეჩერებამდე, კანონმდებლობით დადგენილი ღონისძიებების გარდა, სკოლა ვალდებულია განახორციელოს პრევენციული ღონისძიებები, მათ შორის, ზედიზედ მე-10 და მე-20 სასწავლო დღის გაცდენის შემთხვევაში, კლასის დამრიგებელმა მოამზადოს წერილობითი ანგარიში მოსწავლის მიერ სასწავლო პროცესის გაცდენის მიზეზების დასადგენად და მის სასწავლო პროცესში ჩასართავად გატარებული ღონისძიებებისა და მიღწეული შედეგის შესახებ, რომელსაც სკოლა მოთხოვნის შემთხვევაში წარუდგენს რესურსცენტრს, ხოლო ზედიზედ გაცდენილი 20 სასწავლო დღის შემდეგ, მოსწავლის სასწავლო პროცესში ჩაურთველობის შემთხვევის მართვის მიზნით, კლასის დამრიგებელთან ერთად ჩართოს ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის სოციალური მუშაკი (ასეთის არსებობის შემთხვევაში, ხოლო ასეთის არ არსებობის შემთხვევაში, კლასის დამრიგებელი თავად ახორციელებს შემთხვევის მართვას).

3.ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის სოციალური მუშაკის ჩართვის მიზნით სკოლა უგზავნის დამრიგებლის ანგარიშს ოფიციალურ მიმართვასთან ერთად სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრს, სკოლის ოფიციალური ელექტრონული ფოსტის მეშვეობით:**skolaakademos@gmail.com.**

4. მოსწავლის სასწავლო პროცესში ჩაურთველობის შემთხვევის სოციალურ მუშაკთან რეფერირებიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღის განმავლობაში, ახორციელებს ვიზიტს ოჯახში დამრიგებლის მიერ მოსწავლის სასწავლო პროცესში ჩართვის მიზნით დასახული ღონისძიებების გაუტარებლობის მიზეზების დასადგენად და/ან მიღწეული შედეგების მდგრადობის შესაფასებლად.

5. სოციალური მუშაკი, მოსწავლის სასწავლო პროცესში ჩაურთველობის შესახებ ინფორმაციის მიღების შემდეგ მოქმედებს შემდეგ ვადებში და შემდეგნაირად:

5.1. თუ ვიზიტისას სოციალურ მუშაკს ოჯახში არავინ ხვდება, იგი ტოვებს შეტყობინებას საკონტაქტო ინფორმაციით. მშობლის დაკონტაქტების შემდეგ კი ათანხმებს ოჯახში ვიზიტს.

5.2. ვიზიტიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღისა ამზადებს ვიზიტის ანგარიშს, ხოლო ანგარიშის მომზადებიდან 3 სამუშაო დღეში კი წარმოადგენს სამოქმედო გეგმას.

5.3. გეგმის განხორციელება მოიცავს მოკლე და გრძელვადიან მიზნებს და ხორციელდება და/ან განახლდება მოსწავლის საგანმანათლებლო პროცესში ჩართვის პროგრესის პარალელურად/შესაბამისად კლასის დამრიგებელთან მჭიდრო თანამშრომლობით. მოკლევადიანი გეგმა ასახავს მოსწავლის სასწავლო პროცესში ჩართვისაკენ მიზანმიმართულ ღონისძიებებს, ხოლო გრძელვადიანი კი მიემართება ამ ღონისძიების მიღმა არსებულ საჭიროებებს.

5.4. სოციალური მუშაკის დასკვნა მოსწავლის სტატუსის შეჩერებასთან დაკავშირებით მზადდება მოსწავლის საგანმანათლებლო პროცესში ჩაურთველობის შემთხვევაში, მის მიერ შემთხვევის სამოქმედო გეგმის წარმოდგენიდან მე-15 სამუშაო დღეს.

5.5. დასკვნას (რომელსაც სოციალური მუშაკი უგზავნის ოფიციალური ელ-ფოსტის მისამართზე) გაეცნობა კლასის დამრიგებელი და სკოლის დირექტორი. გაზიარების შემთხვევაში დადგენილი წესით დაიწყება მუშაობა სტატუსის შეჩერებაზე სკოლის დირექტორის მიერ, ხოლო დასკვნაში წარმოდგენილი ინფორმაციის არ გაზიარების შემთხვევაში მომდევნო 5 სამუშაო დღის განმავლობაში (ე.ი. მოსწავლის სტატუსის შეჩერებამდე 5 დღით ადრე) განიხილება და შესაბამისად კორექტირდება დასკვნის შეუთანხმებელი ასპექტები.

5.6. საბოლოო დასკვნას ხელს აწერს სოციალური მუშაკი, დამრიგებელი და სკოლის დირექტორი.

6. თუ ამ მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში ჩერდება მოსწავლის სტატუსი და თუ საკითხის შესწავლის შედეგად გაჩნდა საფუძვლიანი ეჭვი, რომ მოსწავლის სკოლაში გამოუცხადებლობა/მონაწილეობის მიუღებლობა დისტანციური სწავლების სრულად ელექტრონული მოდელის გამოყენებით ჩატარებულ გაკვეთილებში, გახდა მიზეზი არასრულწლოვნის სწავლის უფლების შეზღუდვისა, სკოლა მოქმედებს არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.

7. მოსწავლეს ავტომატურად უჩერდება სტატუსი, თუ სკოლას უარი ეთქვა ავტორიზაციაზე, გაუუქმდა ავტორიზაცია ან გავიდა ავტორიზაციის ვადა და არ ჰყავს

უფლებამონაცვლე და მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი ათი სამუშაო დღის ვადაში არ მიმართავს სხვა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მობილობის მოთხოვნით.

8. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული რომელიმე საფუძვლით მოსწავლის სტატუსის შეჩერების შემთხვევაში, სკოლის დირექტორი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს მოსწავლის სტატუსის შეჩერების თაობაზე.
9. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული რომელიმე საფუძვლით მოსწავლის სტატუსის შეჩერების შემთხვევაში სკოლა ვალდებულია მოსწავლის სტატუსის შეჩერების შესახებ გადაწყვეტილება ორი სამუშაო დღის ვადაში აცნობოს მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს, ხოლო ამავე მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული აქტი და ინფორმაცია მოსწავლის სტატუსის შეჩერების შესახებ ასახოს ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.

მუხლი 3. მოსწავლის შეჩერებული სტატუსის აღდგენა

1. მოსწავლის მშობელმა/კანონიერმა წარმომადგენელმა, რომელსაც სურს მოსწავლის სტატუსის აღდგენა უნდა მიმართოს იმ სკოლას, რომელმაც შეუჩერა მოსწავლეს სტატუსი ან მის უფლებამონაცვლეს.
2. იმ შემთხვევაში, თუ სკოლამ შეწყვიტა საგანმანათლებლო საქმიანობა და არ ჰყავს უფლებამონაცვლე, მოსწავლის მშობელმა/კანონიერმა წარმომადგენელმა, რომელსაც სურს მოსწავლის სტატუსის აღდგენა, უნდა მიმართოს იმ სკოლას, სადაც სურს სწავლის გაგრძელება.
3. მოსწავლეს აღუდგება მოსწავლის სტატუსი იმავე კლასში, სადაც შეუჩერდა სტატუსი.
4. იმ შემთხვევაში, თუ დასტურდება მოსწავლის მიერ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მომდევნო კლასის/კლასების საგანმანათლებლო პროგრამის დაძლევის ფაქტი, მას სტატუსი აღუდგება შესაბამის კლასში.
5. მოსწავლის სტატუსის აღდგენა ხდება სკოლის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.
6. მოსწავლის სტატუსის აღდგენის შესახებ ინფორმაცია სკოლამ უნდა ასახოს ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში, დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემიდან ორი სამუშაო დღის ვადაში.

მუხლი 4. ფინანსური დავალიანების მქონე მოსწავლისათვის სტატუსის შეწყვეტა და განსახორციელებელი ღონისძიებები

1. სკოლა ვალდებულია ფინანსური დავალიანების წარმოშობის შემთხვევაში მოსწავლეს დაასრულებინოს მიმდინარე სასწავლო სემესტრი.

2. სკოლა უფლებამოსილია ფინანსური დავალიანების მქონე მოსწავლეს შეუწყვიტოს მოსწავლის სტატუსი მიმდინარე სასწავლო სემესტრის დასრულების შემდეგ, მომდევნო სასწავლო სემესტრის დაწყებამდე გონივრულ ვადაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მოსწავლის შეუფერხებელი მობილობის უზრუნველსაყოფად.

3. სკოლა ვალდებულია ფინანსური დავალიანების წარმოშობისთანავე წერილობით გააფრთხილოს მოსწავლის კანონიერი წარმომადგენელი და განუსაზღვროს მას გონივრული

ვადა შესაბამისი ვალდებულების შესასრულებლად, აგრეთვე განუმარტოს ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შედეგები.

4. სკოლა ვალდებულია მოსწავლისთვის მოსწავლის სტატუსის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს მომდევნო დღისა წერილობით აცნობოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს ამ გადაწყვეტილების თაობაზე.

5. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით მოსწავლისთვის მოსწავლის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში სკოლა ვალდებულია მოსწავლის პირადი საქმე და სხვა სკოლაში მის ჩასარიცხად წარსადგენი დოკუმენტაცია გადასცეს მოსწავლის მიმღებ სკოლას შესაბამისი მოთხოვნის მიღებიდან მომდევნო სამუშაო დღეს.

6. სკოლა ვალდებულია მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის სურვილით მოსწავლის სხვა სკოლაში მობილობის შემთხვევაში მოსწავლის პირადი საქმე და სხვა სკოლაში მის ჩასარიცხად წარსადგენი დოკუმენტაცია გადასცეს მოსწავლის მიმღებ სკოლას შესაბამისი მოთხოვნის მიღებიდან და მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის მიერ სათანადო განცხადების წარდგენიდან 3 სამუშაო დღის ვადაში, აგრეთვე მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს 5 სამუშაო დღის ვადაში დაუბრუნოს წინასწარ გადახდილი სწავლის საფასური (არსებობის შემთხვევაში).

7. სკოლის მიერ ამ მუხლის მე-3–მე-6 პუნქტების შეუსრულებლობა მისთვის ავტორიზაციის გაუქმების საფუძველია.

8. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით მოსწავლისთვის მოსწავლის სტატუსის შეწყვეტისას მის მიერ სწავლის სხვა კერძო სკოლაში გაუგრძელებლობის შემთხვევაში სამინისტრო საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მომდევნო სასწავლო სემესტრის დაწყებამდე უზრუნველყოფს მოსწავლისთვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით განათლების საჯარო სკოლაში მიღების ხელმისაწვდომობას.

მუხლი 5. პასუხისმგებლობა ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ასახული მონაცემების სისწორეზე

ამ წესში მითითებული ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ასახული მონაცემების სისწორეზე და მონაცემების დროულად ასახვაზე პასუხისმგებელია შესაბამისი სკოლის დირექტორი.

მუხლი 6. შპს „აკადემოსისს" მოსწავლის სტატუსის შეჩერებისა და აღდგენის, ფინანსური დავალიანების მქონე მოსწავლის სტატუსის შეწყვეტის წესის მიღება და მასში ცვლილების შეტანა

1. სკოლის წესს შეიმუშავებს და ბრძანებით ამტკიცებს სკოლის დირექტორი.
2. წინამდებარე წესის მიღება, გაუქმება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული წესით.